№ 457. სამშაბათი, 17 თებერვალი 1896—1898 სამშაბათი, 17 თებერვალი, № 457.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская №12
Телефонъ № 363.

მინდა ვიყიდო
(12—10)
ცოცხალი
კავკასიის გარეული ცხოველები:
ირმები, ჯეირნები, გარეული თხები, შურთხები, ჯიხვები, გვერხები, არჩვები, არნები, ფოცხვერები. გარეული ვირები, ჯორცხენები და სხვ.
საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.
მსურველთ მიჰმართონ პირადად ან წერილით მიხეილის ქუჩაზე № 106, გზოში; ბარამოვის სახ.
ჰუგო ვინკლერს
Тифлисъ, Михайловская, № 106, Гуго Винклеру.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1898 ГОДЪ НА
ЖУРНАЛЪ ЖУРНАЛОВЪ
и
Энциклопедическое Обозрѣніе.
Новое иллюстрированное ежемѣсячное изданіе **безъ предварительной цензуры**, составленное отчасти по образцу иностранныхъ журналовъ Review of Reviews (англійскаго и американскаго). Revue des Revues и др.

Кромѣ оригинальныхъ статей, написанныхъ спеціально для журнала выдающимися учеными и мыслителями, какъ русскими, такъ иностранными, журналъ помѣщаетъ извлеченія или экстракты изъ статей извѣстнѣйшихъ авторовъ и замѣчательнѣйшихъ статей, появляющихся въ русской или иностранной печати.

Въ программу журнала входятъ: науки естественныя, медицинскія, физико-математическія, исторія и общественныя науки, философія, метафизика и психологія, искусства и критика, обозрѣніе журналовъ, смѣсь и проч.

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ будетъ выходить при ближайшемъ сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ Академика Князя И. Р. Тарханова.

Отдѣлъ исторіи и общественныхъ наукъ—при сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ В. Ф. Головачева.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:
на роскошное изданіе за годъ съ доставкою и пересылкою 10 р.
на дешевое изданіе за годъ съ доставкою и пересылкою 6 р., на дешевое изданіе за годъ безъ доставки 5 у.
(Разсрочка на дешевое изданіе съ пересылкою и доставкою допускается при ежемѣсячныхъ взносахъ по 2 рубля въ теченіе 3-хъ мѣсяцевъ).

Контора и редакція въ С.-Петербургѣ, Гороховая 13 (уг. Б. Морской). (12—1) Издатель-Редакторъ И. П. Кондыревъ.

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჩაბარიანისა
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
—
იქვე იყიდება ი. მაჩაბარიანის თარგმანები:
ბრჭყალები 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
ივდითი ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
ვინც ფასი-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაუთმობა. (30—25)

იყიდება ყველგან ახალი წიგნი
მ. ა. ზარკალაიას გამოცემა
ზმაკიდურები
ჩვენს მოღვაწეებზე
(საამდროო გამოცანები)
ფასი 15 კაპ.
(30—12)

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში და ზოგან ეკკლესიებში
გამოცემა
მორჩილის რაჟდენ ბარამიძისა
ცხოვრება
ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა
ფასი 5 კაპ. (10—10)

ახლად გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
ამხანაგობა „გლეხის“ გამოცემანი

გერმანელები ფასი 30 კაპ. **იტალიელები** ფასი 30 კაპ. **ინგლისელები** ფასი 40 კაპ.
თითოეულს წიგნში ხუთ-ექვს სურათამდეა მოთავსებული. (10—5)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, ქალებისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას წამლობს ს. ვ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100 33,

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხიხატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე სტუდენტი გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

пансіонъ и училище
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—92)

დეპეშები

კავკ. „ცნობის ფურცლისა“
15 თებერვალი

მოსკოვი. 14 თებერვალს ანდერძი აუგეს მოსკოვის მიტროპოლიტს სერგის ანდერძის ამგები იყო ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსი თეოგნოსტი ოთხი არქიმანდრიტით. ანდერძის აგებას დაესწრნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა

ელისაბედ თეოდორეს ასული. ანდერძის აგების შემდეგ ცხედარი გამოიტანეს დიდმა მთავარმა, ტაინი სოვეტნიკმა საბლერმა და არქიმანდრიტებმა და დასდგეს ტახტრევანზე. პროცესია გაემართა კრემლიდან იაროსლავის სადგურზე. ცხედარი დასდგეს სამგლოვიარო ვაგონში და შემდეგ მატარებელმა სერგის ლავრასთან მიასვენა. გვამი დაკრძალულ იქმნება 16 თებერვალს პიძინების ტაძრის სავანეში.

ბელგრადი. ხმები დადის, განზრახვა აქვთ დაითხოვონ საერო კრება, შემდეგ მარტში გამართონ ახალი არჩევნები და აპრილში მოიწვიონ ახალი საერო კრება ნიშში.

პრაგა. სეიმი. ობერლანდმარშალი მოითხოვს და ადტაცებულ ყვირილში ნება-რთვას იღებს მიულოცოს სეიმის დეპუტაციამ იმპერატორს 50 წლის მეფობა.

ლონდონი. „Daily Wail"-ს დეპეშით აუწყებენ სინგაპურიდგან, რომ გონკანგიდან მოსულ დეპეშებით საფრანგეთის შეიარაღებული ჯარი კუ-ანჩუევანს მოადგა, 240 მილზე გონკონგის სამხრეთ-დასავლეთით, და რომ ჩინელებს აუწყეს თავიანთი განზრახვა აავონ იქ შენობა.

პარიზი. „New Jork—Herald"-ში მოთავსებულია საგანგებო დეპეშა ამ გაზეთის კორესპონდენტისა გავანიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ აფეთქება „მენის" კრეისერზე მოხდა გემის ქვეშ, რომლის ცხვირს ძირი გაუპო და ჰაერში აისროლა.

პარიზი. დრიუმონსა და კლემანსოს შორის დუელი მოხდა, ზოლას საქმით ატეხილის პოლემიკის გამო. მოწინაალმდეგეთ ექვსჯერ ესროლეს ერთმანეთს, მაგრამ ექვსჯერვე ასცდათ ტყვია.

შერბურგი. კრეისერი „ბრუი" წავიდა აქედან შორეულ აღმოსავლეთის ესკადრასთან შესაერთებლად.

ათინა. 14 თებერვალს, როცა მეფე დედოფალთან ერთად ლანდოში მიდიოდა ფალერონიდან, ორმა თხრილში ჩასაფრებულმა კაცმა ეტლს თოფი ესროლეს; პირველი ტყვია ასცდათ, მეორე მოხვდა ხელში ლეიბ-ეგერს. ეტლი ჰენებით გაქანა წინ. უკანიდან კიდე დაადევნეს შვიდი ტყვია, მაგრამ არავის მოხვედრია· მეფე და დედოფალი მშვიდობით დაბრუნდნენ სასახლეში. ბოროტ განზრახვამ ძლიერ აღელვება გამოიწვია. ერთს ბოროტ-გამზრახველთაგანს რუხი ტანისამოსი ეცვა. მეფე ამბობს, მე მას ადვილად ვიცნობო. ორივე ბოროტ გამზრახველი გაიქცა, როგორც ისმის, პოლიციას გეში მიუტანია ბოროტ-გამზრახველებზე. ბოროტ განზრახვის ამბავმა მთელ საბერძნეთში გმობის გრძნობა გამოიწვია. ყველგან მანიფესტაციას ამზადებენ მეფის პატივ-საცემლად.

ახალი ამბავი

*** **ქართული თეატრი.** ქართულმა დრამატიულმა დასმა საყველიეროდ ზედი-ზედ გამართა სამი წარმოდგენა „და-ძმა" დრ. ვ. გუნიასი (13 თებერვ.), „თამარ ბატონიშვილი" დრ. ა. მესხისა (14 თერვ.) და „სამშობლო" დრ. დ. ერისთვისა (15 თებერვ.) მიუხედავად იმისა, რომ ეს პიესები, განსაკუთრებით, პირველი და უკანასკნელი, ხშირად უნახავს ჩვენს საზოგადოებას, სამსავე წარმოდგენას ხალხი მაინც ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ სამივეჯერ მწყობრად ჩაიარა და საკმაოდ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. „სამშობლოს" წარმოდგენით დამთავრდა ზამთრის სეზონი.

*** **მუშათა დაქირავების წესები.** შარშან გაზაფხულზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეადგინა და გაუგზავნა გუბერნატორებს კითხვები მუშათა დაქირავებისა და მუშაობის წარმოების პირობათა შესახებ. გუბერნატორებმა ეს კითხვები განიხილეს საგუბერნიო სხდომებზე და ამ ჟამად უკვე წარუდგენიათ მათზე პასუხები. ეს პასუხები წარმოადგენენ ვრცელ მასალას, რომლის აღნუსხვა დამთავრებულ იქნება მარტამდე, გაზაფხულზე კი სამინისტროს კომისია სხდომებს გამართავს აღნიშნული საგნის შესახებ.

*** **ნორმალური წესდება.** ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტს შეუდგენია პროექტი ნორმალური წესდებისა სხვა და სხვა გვარ არტელისათვის (გარდა სამეურნეო და სამიწად მოქმედო არტელებისა). ამ პროექტის განსახილველად თებერვლის გასულს მოწვეულ იქმნება კრება სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენელთაგან.

*** **რკინის გზის მგზავრთა უფლება.** რკინის გზათა დეპარტამენტს კითხვა აღუძრავს იმის შესახებ, რომ უფლება მიეცეთ მგზავრთ შესწყვიტონ ხოლმე მგზავრობა პლატფორმებზე და ნახევარ-სადგურებზე.

*** **შუამდგომლობა სახალხო კითხვის ნებართვაზე.** ამ ბოლო დროს სახალხო განათლების სამინისტროში ძალიან გაუხშირებიათ თხოვნების წარდგენა კერძო პირებს, ადგილ-მამულის მეპატრონეთ, იმის შესახებ, რომ მათ ნება მიეცეთ გამართონ ხოლმე თვით ადგილ მამულში სახალხო კითხვა ბუნდოვანი სურათებით, უმთავრესად სამეურნეო ცხოვრებიდან. ასეთი კითხვის გამართვაზე სამინისტრო ნება-რთვას აძლევს ყოველ ისეთ შემთხვევაში, როცა ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობის მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არის.

*** **სამრეწველო განათლების გავრცელება რუსეთის იმპერიაში.** იმ აზრით, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ გავრცელებულ იქმნეს იმპერიაში სამრეწველო განათლება, სახალხო განათლების სამინისტროს არა ერთხელ მიუცია სამოსწავლო ოლქთათვის წინადადება, ყოველი ღონე იღონეთ დააარსოთ რაც შეიძლება ბევრი ტეხნიკური და სახელოსნო სასწავლებელი და ამასთანავე მიჰმართეთ ადგილობრივ საზოგადოებას, როგორც განზრახული სკოლის ტიპის გამოსარკვევად, ისე საზოგადოების მოსაწვევად მიიღოს მონაწილეობა სასწავლებლის შენახვაშიო. ქალაქის გამგეობანი, საერო კრებები, მოქალაქეთა და ხელოსანთა საზოგადოებანი, მეფაბრიკენი და მექარხნენი, აგრეთვე კერძო პირნი ამ წინადადებას ყოველთვის დიდის თანაგრძნობით მოჰკიდებიან და განუცხადებიათ, მზადა ვართ დავეხმაროთ მთავრობას სამრეწველო განათლების გავრცელების საქმეშიო, მაგრამ ამასთანავე თავისი მხრით ის სურვილიც გამოუთქვამთ, რომ განზრახულ სკოლათა მოწყობა ადგილობრივ პირობებს ეთანხმებოდეს. მიუხედავად ამისა, სამინისტროს ყურამდე მოახწია, რომ ადგილობრივ მთავრობას ხანდახან უძნელდება და ხშირად თითქმის სრულიად შეუწყნარებლადა სტოვებს შუამდგომლობას სამრეწველო სასწავლებელთა დაარსების შესახებ,—ან საზოგადოების იმ სურვილის გამო, რომ განზრახულ სკოლას უთუოდ ესა და ეს სახელი დაერქვას, ან-და არსებულ კანონდებულებასთან სკოლის ტიპის შეუთანხმებლობის გამო. ასეთ დაბრკოლებას სამინისტრო არ სცნობს არსებითი დაბრკოლებად ისეთ ახალ საქმეში, როგორიც არის სამრეწველო განათლების გავრცელება რუსეთში და მსურველია იმისა, რომ თავიდან აშორებულ იქმნეს ხოლმე ასეთი დაბრკოლება; ამის გამო სამინისტრო ამ ჟამად ცდილობს შეჰკრიბოს ცნობები სხვა-და-სხვა ოლქებიდან ყველა შუამდგომლობის შესახებ აღნიშნულ საგანზე, იმის-და მიუხედავად, აღძრულია თუ არა ეს შუამდგომლობა ნივთიერი დახმარების დაპირებით, რადგანაც სამრეწველო სასწავლებლის ამა თუ იმ პუნქტში დაარსების გადაწყვეტის დროს სახალხო განათლების სამინისტრო ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ყურადღებაში იღებს არა მარტო ადგილობრივ შემოწირულებათა რაოდენობას, არამედ უმთავრესად ადგილობრივ მოთხოვნილებას და მრეწველობის მდგომარეობას.

*** **გზის შეკვრა.** სურამიდან იტყობინებიან, რომ 13 თებერვალს ბორჯომის რკინის გზის შტოზე 27 ვერსზე მიწის ზვავი ჩამოწოლილა და ამის გამო ბორჯომსა და სუმბათოვოს შორის მატარებელთა მიმოსვლა შეწყვეტილია სანამ გზა არ გაიწმინდება.

*** **ახალი თანამდებობა გამგეობაში.** ტფილისის ქალაქის გამგეობაში განზრახულია დააარსონ ახალი თანამდებობა—საქმეთა მწარმოებლისა.

*** **ამინდები ტფილისში.** ამ ოთხი დღის წინად ერთბაშად სითბოების შემდეგ დათოვა ტფილისში და ეხლა საშინელი სასტიკი ყინვები დაიჭირა. ასეთი სიცივე შუა ზამთარშიაც არ ყოფილა. ახლო-მახლო სოფლებშიაც საშინლად ცივა, თურმე, და ხორაგიც გაძვირდა.

*** **ქმრის უფლება.** ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა შემდეგი კითხვა: „აქვს თუ არა ქმარს უფლება მოსთხოვოს თავის ცოლს უთუოდ ჩემთან უნდა იცხოვრო, თუნდაც ამ მოთხოვნილების განცხადების შემდეგ ქმარმა თხოვნა წარადგინოს გაყრის შესახებ?" ოლქის სასამართლომ ასეთ უფლებაზე უარი განუცხადა ქმარს.

*** **სასამართლო წესდება დაღესტნის ოლქში.** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ შემოღებულ იქმნეს დაღისტნის ოლქის ზოგიერთ ადგილებში სასამართლო წესდებათა მოქმედება.

*** **სახალხო ქართული წარმოდგენები.** აზნაურ იოსებ ქუთათელაძეს შუამდგომლობა აღუძრავს—ნება მომეცით ტფილისში ავჭალის სასადილოში გავმართო რამდენიმე სახალხო ქართული წარმოდგენაო.

*** **წიგნთ-საცავის დაარსება.** დუშეთის ქალაქის მამასახლისს განზრახვა ჰქონია გახსნას დუშეთში წიგნთ-საცავი. ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებს აღუთქვამთ აღმოუჩინონ წიგნთ-საცავს შეძლების და გვარად ფულით დახმარება.

*** **ქიზიყელ მევენახეთა და მხვნელ-მთესველთა საყურადღებოდ.** ქიზიყის საზოგადო დეპო გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საუკეთესო ღირსების შაბიამანი გაისყიდება დეპოში ფუთი 3 მ. და 60 კ. გაისყიდება დეპოშივე მარსელის გოგირდი და სხვა და სხვა ქარხნის გუთნები იმ ფასად, რა ფასადაც თითოობით ისყიდება ტფილისში კ. კრაუზეს და აუფერმანის საწყობებში.

*** **„ახალი მკითხველის" საყურადღებოდ.** ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ალაგი ამ ჩემ პატარა წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის" საშუალებით ვაცნობო „ახალი მკითხველის" სარევიზიო კომისიას. მე როგორც წევრი წარსული 1897 წლის ფული სამი მანათი გადახდილი მაქვს, ხუთი წიგნი მივიღე. უკანასკნელი წიგნი მივიღე გამოცემა მეხუთე ქრისტეშობისთვის შუა რიცხვებში. ხოლო ამ 1898 წლის ფული ჯერჯერობით არ შემიტანია, რადგან ამხანაგობის მოქმედება დროებით შეჩერებული გახლავთ. საჭიროა ვიცოდე «ახალი მკითხველი» დროებით არის მიძინებული თუ საუკუნოთ?

გრიგოლ იოსების ძე რაზმაძე

*** **მადლობის გამოცხადება თანაგრძნობისათვის.** ბ-ნო რედაქტორო! რადგან არ ძალმიძს ყველას, ვინც ჩემისა და ჩემის შვილების მწუხარების ჟამს, საყვარელის მეუღლის ჩემის გენერალ-ლეიტენანტის თავადის გრიგოლ ალექსანდრეს ძის შარვაშიძის გარდაცვალებისა გამო, სამძიმრის ტელეგრამები და წერილები გამოგვიგზავნეს, სათითაოდ პასუხი გავსცე, უმორჩილესადა გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენო.

კნეინა ალათი შერვაშიძისა

*** **დ. სამლებრო** (სამეგრელო) **უგზოობა გვაბრკოლებს!** ძლიერ წინ წაიწია ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა დაბამ. გვაქვს აფთექა, სამრევლო და სამინისტრო სკოლები, ნორმალურ და ორ კლასიან საეკლესიო სასწავლებლებსაც ვაარსებთ, სახალხო უფასო სამკითხველოს გახსნასაც ვაპირობთ და ვინ იცის რაებს არ ვოცნებობთ, მაგრამ ყოველი ჩვენი ცდა და მისწრაფებანი უნაყოფოა, სანამ მოწყვეტილნი ვართ ახალ-სენაკიდან. ახალ-სენაკი ჩვენთვის იმ გვარი ადგილია, რომლის დაახლოვებაზე დამოკიდებულია ჩვენის მომავალის ბედის-წერა. ხოლო ამ დაახლოვებას შეადგენს გახსნილი გზა, თავისუფალი მისვლა-მოსვლა და სხვა არაფერი. გზის გაყვანა კი აქედგან მით უფრო ადვილია, რომ ნაქალაქევის აბანოსა და ახალ-სენაკს შუა უკვე დიდი ხნით არსებობს საეტლო გზა ტკეცილი და ყოველ დღე დილიჟანი დადის. მაშასადამე, ჩვენ ისღა გვრჩება, რომ ნაქალაქევამდინ მივაკეთოთ გზა. ნაქალაქევამდინ ჩვენგან სულ თოთხმეტიოდა ვერსტია, მაგრამ იმისთანა კი, რომ თუ ცოტა ჩამოწვიმა, თავიც უნდა სძულდეს ადამიანს და ცხენიც, რომ წასვლა გაბედოს...

მოიჯარეებს და სოფლის საზოგადოებას აზრად აქვთ, რომ გზა გაიყვანონ და დილიჟანი ან «ლინეიკა» გამართონ. ამ აზრის განხორციელება უეჭველს სარგებლობას მოუტანს მთელს ჩრდილო-აღმოსავლეთ სამეგრელოს, მაგრამ მარტო ჩვენი საზოგადოებისთვის ძნელი აღსასრულებელია. დახმარების თხოვნა უკვე მირთმეულია გუბერნატორისთვის. სასურველია და საჭიროც, რომ ადგილობრივმა მთავრობამ, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და ჩვენი შეგნებულ პირთა შორისაც მოთავეც აღმოჩნდეს.

გასაკვირველიც ის არის, რომ მთელ ზუგდიდის მაზრაში, ანაკლიიდან დაწყებული წალენჯიხამდის, ისე არ გაკეთდება გზა, რომ ჩვენის სოფლის გლეხები სისხლის ოფლს არ ღვრიდენ, ყველგან არ ეხმარებოდენ და თვით ჩვენი საზოგადოება კი ყოველ მხრით, შინ თუ გარეთ, ისეა შეწუხებული და შებორკილი უგზოობით, რომ კუდიც ვერ გაუქნევია თავისუფლად. ამაზე არის ნათქვამი: „ყვავს არ ჰქონდა, ჩხიკვს გაჰქონდაო".

იკო

*** **სოხუმი. წარმოდგენის გადადება.** ამ საყველიეროდ ქართულ სცენის მოყვარენი ქართულ წარმოდგენისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ყველასაგან პატივცემულის თავადის გრიგოლ შარვაშიძის მოულოდნელად გარდაცვალებამ ყველა დაამგლოვა და წარმოდგენა სადიდ-მარხვოდ გადაიდო. მაშინ აპირებენ ცაგარლის კომედია „ხანუმა" დასდგან, რომლისათვისაც მოპატიჟებულია ჩვენი ნიჭიერი მსახიობი-ქალი ნატ. გაბუნია ცაგარლისა.

*** **ოჩამჩირე** (აფხაზეთი). **ქუჩების განათება.** სწორედ გესიამოვნებათ, ისეა ჩვენი ქუჩები განათებული ფარნებით, რისთვისაც ჩვენი დაბის დეპუტატები დიდი მადლობის ღირსნი არიან. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ აქამდე არაფერი ეშველა აზოვის კანტორის წინ ფარნის ანთებას, სადაც მარტო ხის ბოძი ასვია და ფარანი კი არ ადგას. ეს გარემოება ამას წინადაც იყო მოხსენებული „ცნ. ფ."-ში, მაგრამ ჯერ არავინ მას ყურადღებას არ აქცევს. იმედია, ეს საჭიროება აწი მაინც იქნება დაკმაყოფილებული, ვისგანაც ჯერ არს.

სა—ნია

*** **ქოდალო** (ქიზიყი). **მედუქნეთა გაამჟღავნება.** ჩვენი სოფლის

მიამრიგებელ სასამართლოში მუდამ ატუზულან მედუქნეები და როგორც კი რომელიმე გლეხი აღსრულებითი ფურცელს აიღებს, ჩაიგდებენ ხელში საბრალოს და ხუთ თუმნიან ფურცელს, მაგ., ხშირად თუმნად დასტუებენ ხოლმე. ასეთი მაგალითი მრავალია და ურიგო არ იქნება მედუქნეთა გაიძვერობას ბოლო მოეღოს ვისგანაც ჯერ არს.

⁂ **დ. ხაშური.** უვარგისი თევზეულობა. როგორც-კი დადგა ყველიერი, ჩვენი ხაშური მაშინვე აავსეს ვაჭრებმა ათას გვარი თევზეულობით. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ათასში ძლივს ერთგან თუ შეხვდებით სასყიდად წაუმხდარ თევზს განსაკუთრებით, ფიჩხულის თევზია ყველგან უვარგისი. სოფლებიდან შემოსულს მდაბიო ხალხს ურიცხვი თევზი გააქვს აქედან და საეჭვოა, ვაი თუ წამხდარმა თევზმა ერთი-ორად გააძლიეროს სოფლად ავადმყოფობა, რომელიც ჩვენკენ ისედაც გავრცელებულია. კარგი იქნება ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

ვინმე გიგო

⁂ **იმერეთი.** შემაწუხებელი უგზოობა. იმერეთიდან გვწერენ, რომ „იმერეთის სამხედრო გზა" ბევრგან უკიდურეს მდგომარეობაშია და მაზე მიმოსვლა მეტად გაძნელებულია. გახშირებულიაო ავად-მყოფობა, ქურდობა, კაცის ჩეხვა, ყაჩაღობა და სხვ. მაგრამ გზის უქონლობის წყალობით ვერავისთვის ვერ მიგვიმართავს და ვერსაიდან შველა ვერ მიგვიღია.

⁂ **სოხუმი.** წითელა. ჩვენ სოხუმშიაც გახშირდა წითელა და ყვავილ-ბატონები. ქალაქმა უკვე დაიქირავა ავადმყოფთათვის თავ-შესაფარი. ხოლო ცოტა არ იყოს, მოუხერხებელ ადგილზეა. ჩვენში ეხლა ისეთი თბილი დარებია, რომ მაისის დღეები მოგვაგონდებათ.

⁂ **ფოთი.** ცეცხლის გაჩენა რკინის გზის სადგურზე. 13 თებერვალს, დილის შვიდ საათზედ ცეცხლი გაუჩნდა რკინის გზის სადგურზე მაზუთის რეზერვუარებს, რამაც დიდი შიში გამოიწვია ხალხში და ვინ იცის, ვინ როგორ არ გარბოდა. ზოგს ტანზე და ფეხზე ჩაცმა არც-კი მოუსწვრიათ, მაგრამ ცეცხლზე უფრო უარესი ცეცხლი მეხიდემ დააყენა ხალხს, ზოგს ქუდი და ზედა ტანისამოსი დაატოვებინეს კინაღამ ერთი კაპიკის გულისთვის. მეხიდეს ასეთმა საქციელმა ბევრი აადელვა და ააღშფოთა.

დვაბზუელი ხელოსანი

⁂ **ს. ხიდისთავი** (ქართლი). ქათმების ქურდები. რასაკვირველია, მკითხველნო, მოგეხსენებათ სოფელი ხიდისთავი. გორზე ახლოა და ამიტომ აქ მრავლად ბუდობენ უსაქმურნი და მაწანწალანი, რომლებიც თავის დღენი სულ სხვისი ოფლით გამოდიან. სანამ ან ვენახებში, ან მარნებში არის რამე, იმათაც არა უშავთ, მუცელს იძღობენ, ვითარცა ფრინველნი ცისანი, მაგრამ როცა ვენახი დაცარიელდება და მარანიც, მაშინ სჭირს ამათი საქმე. მეტი ღონე არა აქვთ, უნდა სახლების ტეხას მიჰყონ ხელი. მაგრამ რადგან აქაურ გლეხებს ერთი სახლი აქვთ და თვითონაც შიგა დგანან და რაცა აქვთ, ისიც იქ უძევთ, ქურდ-ბაცაცები ადვილად ვეღარა ჰბედვენ შეპარვას და ისევ საქათმეებს მიჰმართავენ ხოლმე. ამიტომ იყო, რომ ამ ზამთარში მთელი სოფლის ქათამ-ბატები გააჩანაგეს. ღვინის ქურდს თხლეზე დაიჭერენო. მიაკვლიეს კვალი და აღმოაჩინეს ქურდები. ამათი ამხანაგი ყოფილიყო ერთი მებადე იმერელი, რომელიც იმერეთში გაისტუმრეს მაშინვე, მეორეც ესტატე ტეტუაშვილი. ამის საბრალო მოხუც მამას რომ გაეგო ეს ამბავი, ელდა ეცემოდა და თქვენი ჭირი წაიღო. სხვებიც იყვნენ, მაგრამ მიაფანიერ მოაფანიერეს. მაინც ამ ბოლოს ძალიან იმატა ქურდობამ. მოვალეა მამასახლისი, სოფელზედ ფხიზლად ეჭიროს თვალი, რადგან თვითონაც კარგად იცის, ვინ რა ზნისაა.

— გაფუჭებული ვენახები. აქამომდე კიდევ იმედი გვქონდა, რომ ვენახები გადაგვირჩებოდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით. სანამ ყინვა იყო, არა ეტყობოდა რა, რაკი დათბა, ეხლა სულ ცხადად შეეტყო, რომ სულ დავლუპულვართ. ნულარავის ნუ ექნება იმედი, რომ ქვევრებს გაამსებენ. რა ქნას აქაურმა გლეხებმა, პურსაც ამითა ყიდულობენ და სხვა ხარჯსაც ამით იხდიან. ეხლა კი ძალიან ცუდათ მოუვათ, არ ვიცით რა გვეშველება. მომეტებულად მტკვრის ახლოა წამხდარი ვენახები.

— არყის ხდა. ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა ჩუმად არყის ხდა. გაჭირვებული ხალხი ღობე-ყურეს ედება ან ამით მოვიდგა სული, ან ამითიო, მაგრამ რაც არ იღუპებიან ამ არყის ხდით, ხეირი არ ეყრებათ. ასწრობენ აქციზები და ერთი ათად ახდევინებენ, უფრო კარგი იქნებოდა ყველას ვენახი დაეზომათ, გადასახადი დაედოთ და მიეცათ მერე ნება ამის დაგვარად ჭაჭის უგარდასახადოთ გამოხდით.

მეზობელი

⁂ **დ. ბორჯომი.** გლეხკაცობის საჭიროება და მათი შემწე. სოფელ ყვიბისის მცხოვრებთ მოიწადინეს რა, კეთილ-კაცთა ჩაგონებით, სამრევლო სასწავლებლის გახსნა, დადგენილებაზედ ხელი მოაწერეს (გასულს იანვარს) რომ სასწავლებლისათვის ააგონ შემოდგომამდინ შესაფერი შენობა და ყოველ წლივ აძლიონ სასწავლებლის საჭიროებისათვის 200 მან.

სხვათა შორის: როდესაც სასწავლებლის დაარსების თაობაზედ იყო ყრილობა, ს. ყვიბისის მცხოვრებთ შესჩივლეს ბორჯომის ბოქაულს ქ-ნ ბალაბანსკის სასოფლო გზის ოქონლობაზე, (სასოფლო გზა, რომელიც აერთებდა ყვიბისს ბორჯომთან, იქმნა მოსპობილი რკინის გზის გაყვანისათანავე) ბ-ნი ბოქაული დაჰპირდა შუამდგომლობას სადაც ჯერ არს, რომ, ხელახლად გაყვანილ იქმნას გზადა აგრედვე იქმნას აგებული ხიდი მდინარე მტკვარზე სოფ. ახალდაბაში (შარშან-წინ წყალდიდობით წაღებულის მაგიერ). რაც დიდ საჭიროებას შეადგენს მცხოვრებთათვის. ამასთანავე აუხსნა რა დამსწრეთ დიდი მნიშვნელობა და აუცილებელი საჭიროება სასწავლებლის დაარსებისა, დაჰპირდა შუამდგომლობას, რომ ყოველივე მასალა, რაც საჭირო იქმნება სასწავლებლის შენობის ასაგებად, დაეთმოთ ყვიბისელებს უბაჟოდ.

ხალხი მოხარულია და დაიმედებული, რომ ბ. ბოქაული აღმოუჩენს შემწეობას შუამდგომლობით ყოველ განზრახულ საჭირო საქმეში.

ვლ ყიფიანი

⁂ **ქ. კავკავი.** თავ-გასული ქურდობა. 8 თებერვალს, ღამის პირველ საათზე, აქაური ქისტები, რიცხვით ათნი, ცხენებ შებმულ ურმებით ფირალოვის მაღაზიას მიადგნენ. სამმა ქისტმა, გარეთ მდგომ ყარაულს სტაცეს ხელი, წაიყვანეს და დააგდეს მდ. თერგის პირს და ამასთანავე დაემუქრნენ, თუ ხმა ამოიღო, იცოდე, ცოცხალი არ გადაგვირჩებიო, დანარჩენი ქისტები კი შეუდგნენ მაღაზინის გატეხას. გატეხეს თუ არა ფანჯრის კარები, შეუდგნენ ამავე ფანჯრის მინის ტეხვას. ავაზაკებმა მარტო სამი საკერავი მაშინა და ასი წყვილი ფეხსაცმელები გამოიტანეს. ორი თარო რომ დააცარიელეს, მუზარადს მიჰყვეს ხელი, სადაც ძვირფასი ნივთები ელაგა, მაგრამ ამ დროს სამი მომავალი მგზავრი დაინახეს, რომელთაც ქურდების დანახვაზე ყვირილი მორთეს. ამ ყვირილზე ქურდები მაღაზინიდან გამოვარდნენ ურმებით და ქალაქ გარედ გაეშურნენ. ამ გაქცევაში მათ ერთი წყვილი ფეხ-საცმელი დაეკარგათ. მათ უკან ყაზახები დაადევნეს, მაგრამ ქურდების გზა და კვალი მაინც ვერ იპოვნეს. ამ გაქცევას ქურდებს ერთი მხრით თოვლიც შველოდა, რომელიც იმ ღამესვე მოვიდა, როგორც თვითონ მაღაზინის პატრონი ამბობს, ზარალი 2 ათას მანეთამდეაო.

— მთავარ-მართებლის გამგზავრება პეტერბურგში. 8 თებერვალს, კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი თ. გ. ს. გოლიცინი თავის ამალ-მხლებელნით კავკავიდგან პეტერბურგში გაემგზავრა. პარასკევს 6 თებერვალს პეტერბურგისკენვე გაემგზავრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი კ. პ. იანოვსკი.

პავლე მოს—შვილი

⁂ **ს. ახალდაბა.** (ქართლი) გზებისა და ხიდების გაკეთება. ამ თვის პირველ რიცხვებში ჩვენში მობრძანდა გორის მაზრის ხარკის ამკრეფი ინსპექტორი ბ. ასოვსკი, რომელსაც დავალებაჰქონია დაეთვალიერებინა გზები და ხიდები. ბ-ნმა ინსპექტორმა ნახა ის ადგილები, სადაც ფრიად საჭიროა გზები და ხიდები. პირველად ბ. იასოვსკიმ სოფ. ახალდაბაში დაათვალიერა ის ადგილები, სადაც წინად ხიდი იყო აგებული მას თან ახლდა მამასახლისი თავისი მწერლით, რომლებმაც დაწვრილებით უჩვენეს ის გზები და აუხსნეს, თუ რა საჭიროა მცხოვრებთათვის ხიდი. შემდეგ ბ. ინსპექტორმა დაათვალიერა სოფ. ყვიბისი, მცხოვრებთ არა აქვთ არც გზა და არც ხიდი. აქაც ჯეროვანად აუხსნა ბ. ასოვსკის მამასახლისმა, თუ რა ტანჯვა-წვალებაში იმყოფებიან ყვიბისში და მის ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებლები უგზოობისა გამო. გლეხებმა როცა გაიგეს, თუ რა მიზნით მოსულიყო ბ-ნი ინსპექტორი. მათს სიხარულს დასასრული აღარ ჰქონდა, მაგრამ თანაც ეჭვობდნენ, ვაი თუ პავლეს მოსვლამდე ტყავი გაგვძრესო, სანამ ჩვენ ან გზებსა და ხიდებს მოვესწრობოდეთ, ჩვენ ვაი თუ ჩვენი დაგვემართოსო. ყოველ შემთხვევაში იმედს არ დავკარგავთ, რომ ბ. ასოვსკი ჯეროვან დახმარებას აღმოგვიჩენს, დააჩქარებს გზებისა და ხიდების გაკეთებას და ამით დაიმსახურებს დაუვიწყარ მადლობას.

გიგო ხანაველი

⁂ **კაცხის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა) მწერლების ოინები. არ ყოფილა ისეთი მწერალი ჩვენს ცოდვილს სასოფლო კანცელარიაში რომ საარაკოდ არ გამდიდრებულიყოს ჩვენი ბედშავი სოფლის ნაწვავნადაგით. განსაკუთრებით ეხლანდელ ჩვენს „მოსე მწერლებს" ვერ შეედრება ადამიანი გაიძვერობაში. ვინ მოსთვლის, თუ ამ ვაჟბატონებს რამდენგან გაჭირვებულ ხალხის მთელი საცხოვრებელი სრულიად უსამართლოდ გამოუცინცლავთ ხელიდგან.

როგორც სჩანს, ყველა ეს სოფლები ამ მწერლებისთვის გაჩენილან და არა მწერლები სოფლისთვის. ერთი ვაჟბატონი, რომელიც წინად სულს ღაბავდა შიმშილით, ჩადგა თუ არა რგანის მწერლად, მოგეცა ლხენა, იმან ჩვენს სოფელს გასწურა ჭირის ოფლი, და ამ სოფლის მეოხებით გამოიწყო და ააშენა ორ სართულიანი სახლები. ამასთანავე საწყალ სოფლელებს, როგორც უბრძანებდა, ისე ამუშავებდა სახლებზე. ამ ჭირს როგორც იყო გაუძელით, ბოლოს გვიშველა ღმერთმა. ეს ვაჟბატონი, როგორც იქნა გამოაბრძანეს ჩვენი კანცელარიიდგან. მაგრამ სამწუხაროდ, არც მისმა სამაგიერო მწერალმა დაგვაყარა უკეთესი ხეირი. ეს ვაჟბატონი გაუკეთებს ხოლმე თავის მამას ხრიკულ არზებს, რომელსაც თვითონ სჭრის და თვითონვე ჰკერავს. და მამა მისიც იგებს და იგებს საჩივრებს, და ლამის მთელ სოფელს სული ამოგვხადოს.

მკვიდრთაგანი

⁂ **სოფ. დირბი.** (ქართლი) მონასტრის ადგილ-მამულის შესყიდვა. ს. დირბის მცხოვრებთ, მონასტრის გლეხებს, შუამდგომლობა აღუძრავთ მიეცეს მათ სესხად სამეურნეო ბანკიდან 2,000 მან. მონასტრის ზოგიერთი მამულის შესაძენად. გარდა ამისა, ამავე მიზნისათვის იგივე გლეხები შუამდგომლობენ, ნება მოგვეცით გავყიდოთ, რაც საზოგადო საწყობში პური გვაქვსო.

⁂ **ქუთაისი.** ამინდები. წლევანდელმა დიდმა ზამთარმა და ყინვებმა, რომელმაც 12—13 კვირა გასტანა, მთლად გაუხმო ფესვები მცენარეებს და დიდი ზარალი მისცა სამეურნეო სკოლას. ახლა კი ეს სამი კვირაა, რაც ამინდებმა პირი იცვალეს და ბრწყინვალე მზემ მოფინა თავის სხივები არე-მარეს. ღრმა თოვლი, რომელიც არშინ-ნახევარზე მეტი იყო, წყლად აქცია და ისეთი დადგა, რომ ქუჩებზე სიარული მეტად საძნელო გახდა, მეტადრე ღამ-ღამობით,—მით უფრო საძნელო, რომ არც ერთი ქუჩა ჯეროვანად არ არის განათებული. ჰაერი იმდენად გათბა, რომ ხეხილმა უკვე გამოიკვირტა და ასე წარმოიდგინეთ ბევრი საზაფხულო ტანისამოსით დადის.

— გაჭირების ამბავი. კვირა-უქმე დღე დუქნების დაკეტვას ჯერ კიდევ არაფერი ეშველა. ერთ ხანს ვითომ დაიწყეს კეტვა, მაგრამ ამ ბოლოს დროს ისევ არხეინად ვაჭრობენ, განსაკუთრებით კვირაობით მიხეილის ქუჩის პოლოსებს, თითქმის ყველას გაღებული აქვთ ცალი დუქნის კარი. მწვანე ბაზრის ვაჭრებისაგან არა გვეშველა-რა; დაუხვდებიან ბაზრის თავში სოფლის კაცებს, მესამედ ფასად ცინცლავენ ყოველ გვარ სანოვაგეს და მერე თვითონ მამასისხლად ჰყიდიან.

— სისუფთავე. ჩვენი ქალაქის გამგეობა ძალიან ნაკლებად ზრუნავს ქალაქის სისუფთავეზედ, ბევრი ქუჩა ისე უყურადღებოდ არის, რომ კაცს არ გაევლება ქუჩაში უსუფთაობის გამო.

— ქურდ-ბაცაც-ჯიბგირებისაგან ხომ მთლად აკლებული ვართ, ნამეტნავად პარასკეობით და კვირაობით, როდესაც ბაზრობა იმართება და ხალხი ბუზივით ირევა. ეს ვაჟბატონები არხეინად დაფარფაშებენ სხვის ჯიბეებში თავიანთ გაწაფულ თითებს. ხოლო როცა ამ საშუალებით ვერაფერს გახდებიან, ჯიბეს მთლად მოსჭრიან დანით, როგორც ეს ერთ ჩემს ნაცნობთაგანს დამართეს ამას წინედ, რომელსაც «საფეშქაშო» ვაშლი ჰქონოდა ჯიბეში.

ნიკ. მწვანე-ყვავილელი

ფილოსოფოსი და ქურდი. ქურდი შევიდა ფილოსოფოსის ოთახში, მოჰხვია ხელი მის თვალ-წინ, რაც ხელში მოჰყვა, და არხეინად გზას გაუდგა.

ფილოსოფოსი ადგა ლოგინიდან, აიღო თავისი ჩიბუხი, ძველი ხალათი და წიგნები და გაჰყვა უკან ქურდს.

ქურდი შევიდა თავის ოთახში და თან შეჰყვა ფილოსოფოსიც.

— შენ რა გინდა აქ? ჰკითხა ქურდმა.

— როგორ თუ რა მინდა,—მიუგო არხეინად ფილოსოფოსმა, მე და შენ ხომ ამ ბინაზე გადმოვდივართ...

სამეურნეო ცნობანი

ქათმის ჭირი და მისი წამლობა. ნიშნები ქათმის ჭირისა (ხოლერისა) შემდეგია:

1) ქათამი ზარმაცად დადის.

2) თხელს მისს განავალს თეთრ-მწვანე, ან მოყვითალო-მწვანე ფერი აქვს.

3) პირველად ბლომად წყალს სვამს, ბოლოს იმასაც თავს ანებებს და საჭმელს ვერ ინელებს.

4) თვირის კბილები ულურჯდება და ბოლოს სულ შავდება.

მიზეზი ჭირის დამართებისა:

1) ნოტიო, ჭაჭყიანი ადგილები, რაც მტკიცდება იმით, რომ მთა ადგილებზე ქათმები ნაკლებად იხოცებიან ჭირით: ოდიშში, გურიაში და ქვედა იმერეთში მეტია ჭირის მსხვერპლი, ვიდრე ზემო იმერეთში.

2) უწმინდური, დამდგარი წყალი, რომელსაც ქათამი სვამს.

3) უქონლობა ფრინველისთვის თავშესაფარის სიცხე-სიცივეებში. ამიტომაც ჩვენში ქათმის ჭირი უფრო ხშირად არის, ვიდრე სხვაგან, სადაც ქათამს მოწყობილი აქვს ბინა.

4) სიბინძურე იმ ადგილისა, სადაც ქათმები ბუდობენ. ქათმის განავალი მალე იხრწნება და მისი სუნი ერთობ მავნებელია ფრინველისათვის.

5) შენიშნულია; თუ რომ კარგათ მოვლილ ქათმებში ურევია ჭირიანი, ე. ი. სენ შეყრილი, ერთათ სჭამენ და ერთ ადგილიდგან სვამენ წყალს, კარგათ მოვლილნი ისვრებიან სენ შეყრილის განავალში და უსათუოდ ყველა ქათმები ავათ ხდება და იხოცება.

აქედგან ნათლათ სჩანს, თუ რა ზომები უნდა იხმაროს მექათმემ, რომ გადაარჩინოს სენიდგან:

1) თუ რომ შენიშნა ავათმყოფი ქათამი უსათუოთ უნდა მოაშოროს ამხანაგებს, მოჰკლას და სადმე შორს ღრმად დამარხოს. უკეთესია თუ სულ დასწვავს. ძალიან გაასუფთაოს ის ადგილი, სადაც ავათმყოფი ქათამი შეამჩნია. საქათმეთ უნდა ამოირჩიონ უსათუოთ მშრალი ადგილი. ვისაც უნდა სარგებლობა მიიღოს ქათმებიდგან, იმან არ უნდა დაიშუროს მისთვის ერთი გლახა ფაცხა, რომლის გაკეთება სოფელში თითქმის არაფერი არ დაჯდება; ყოველ დილას უსათუოთ საქათმე სუფთათ უნდა დაიწმინდოს. ზაფხულში სიცხისაგან თავის შესანახავად საჭიროა შორ ახლო ბუჩქები ან ხეები იქნეს დარგული. ყოველ დღე ქათმებს უნდა ჰქონდეს წმინდა წყალი. ორ სამ დღის წყალი ჭურჭელში გაჩერებული სასარგებლო არ არის ქათმებისათვის. გასაფრთხილებლად სენისა კვირაში ორ სამჯერ ქათმების საჭმელში ურევენ ცოტა გოგირდს და დილ დილით აჭმევენ. ყველაზედ უკეთესია ცომში გარეული იქმნეს გოგირდი. აგრეთვე დიდ სარგებლობას მოუტანს უბრალო ნახშირის ჭმევა. აიღეთ ხის ნახშირი, მტვერათ აქციეთ, შეზილეთ ცომში და კვირეში ორ სამჯერ აჭამეთ.

დიდად სასურველია კვირაში ერთჯერ მაინც ასხუროთ საქათმეში და იქ სადაც საზოგადოდ ქათმები ბუდობენ კარბოლკა გარეული წყალი. ეს ჰკლავს ასუფთავებს, მიწაზედ თუ რამ ჭირის მსგავსი არის, მას სპობს. აგრეთვე სასურველია საქათმეები და მის არე-მარეში კირი იქნეს დაყრილი.

ნ. მკურნალი

სამკურნალო დარიგება

დამბლად დაცემულის (აპოპლექსიის) რჩენა. დამბლა-დაცემული ღრმათ და ხრიალით სუნთქავს, მაჯა უსუსტდება და მარღვები უმაგრდება. ტანი უცხელდება, სახე უწითლდება, პირი ეღმანჭება და ებრიცება. ეს უბედურება უცებ ემართება კაცს და ამიტომ მალე უნდა უშველონ. ამნაირი ავათმყოფი მაშინვე უნდა გაიყვანონ გრილს ადგილს სუფთა ჰაერზე, დააწვინონ ტახტზე და თავი ცოტა ზემო დაუყენონ. ბევრი ხალხი და ხმაურობა სრულებით არ უნდა იყვეს. შემდეგ ფეხის გულებზე აკრავენ მდოგვს ან ცომს, მომზადებულს ფქვილისაგან, მარილისაგან და პილპილისაგან. უდგავენ ცივ წყალში გახსნილს მარილის მმრის ოუნსს, თავზე აფარებენ სქლად დაკეცილს წყალში გავლებულს და მაგრა გაწურულს ტილოს; ამისთანა კომპრესს აფარებენ მუცელზედაც და უცვლიან ყოველ 5 წუთში ერთხელ. დასალევათ აძლევენ ცივს შენაზავს მაჭრისას ლიმონის წვენით და შემდეგ, პირველ სამი საათის განმავლობაში, ყოველ ნახევარ საათის შემდეგ მაჭრის წყალში კარგა მომზადებულს სოდა-სიმყავეს (კისლატას). ამ ნაირად უვლიან ავათმყოფს ექიმის მოსვლამდე. ესრედ წოდებული ნერვების სიდამბლე აგრეთვე უეცრივე მოგვენსა. ავათმყოფი ჰკარგავს გონებას, ფერი ეკარგება, სუსტდება და ცივს ოფლს ასხავს. სუსტად სუნთქავს და მაჯა თითქმის უდგება. უფრო ხშირად ამ სენის მსხვერპლად ქალები ხდებიან, ბევრი სისხლის დენის ან სხვა ნაირ დასუსტების შემდეგ. ამნაირს ავათმყოფს ხდიან ტანსაცმელს, აწვენენ ლოგინში, კისერზე და ფეხის გულებზე აკრავენ მდოგვს, უკეთებენ ოუნსს, უხეხენ ტანს რომში ოდნავ დასველებულ ფანელით ან ჩოთქით და ამსევენ თბილ და ტკბილს ჩაის. ლიმონის ან ფორთოხლის წვენით, გოფმანის რამდენიმე წვეთით, მაგარი ღვინით და ან რომით.

განცხადებანი

ფოთის ქალაქის გამგეობა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 16 მარტს 1898 წელს გამგეობის დარბაზში, ნაშუალამევის 1 საათზე, გაიმართება საჯარო ვაჭრობა ქალაქისადმი კუთვნილის ტყის მოსაჭრელად გაცემისა; ტყე მდებარეობს ქ. ფოთიდამ აღმოსავლეთისაკენ მდინარე რიონსა, ნედართუს არხსა, მდინარე ფიჩორსა, პალიასტომის ტბასა და შავ ღელეს შუა, სულ ხუთას დესიატინამდე. ან რაც აღმოჩნდება ზემო აღნიშნულ სამზღვრებ შუა; ვაჭრობა დაიწყება ოთხი ათასი თუმნიდამ (40,000 მან). პირობათა ჯეროვნად შესრულების საწინდრად უნდა წარმოადგინონ 20% იმ თანხისა, რომელშიაც მყიდველი ვაჭრობაზე დაინარჩუნებს სავაჭრო საგანს. საწინდარი ან ნაღდი ფული უნდა იქნეს, ან არადა რუსეთის სარგებლიანი ფურცლები და საზოგადოდ ისეთი საბუთები, და ნივთები რომელნიც მთავრობისაგან ნება-დართულნი ირიან ასეთი შემთხვევისათვის. ვაჭრობის დამტკიცება ფოთის ქალაქის საბჭოზე იქმნება დამოკიდებული. პირობების შეტყობა და ტყის გეგმისა და აღწერილობის ნახვა შეიძლება ფოთის ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 6 საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე.
(3—1)

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე
დილის 11—12 საათამდე და
სალამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

მ. გ. ჯანაშვილის
შედგენილი ანუ გამოცემული წიგნები

		კ.
ა.	საქართველოს ისტორია . . .	70
ბ.	საქართვ. საეკლ. ისტორია . .	45
გ.	მართლმადიდ. ეკლესიის ისტორია	40
დ.	საუნჯე მეათე საუკუნისა . . .	20
ე.	ალვადგინე	30
ვ.	მწერლობა მეათე საუკუნისა . .	40
ზ.	მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი	10
ჱ.	შოთა რუსთაველი - - - - -	40
თ.	ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი - - - - - - - -	40
ი.	ათას ერთი ღამე (თარგმანი) - -	40
ია.	სამცხე (გეოგ. აღწერა ვახუშტისა)	20
იბ.	ქართლი (მისივე) - - - - -	25
იგ.	ბამბა და მისი მოყვანა - - -	15
იდ.	ერეკლე მეფის სახსოვარი («ცნ. ფურც.» გამოცემა).	

წიგნები გ, ჱ, ია და იბ მთავრობისაგან მოწონებულია სახმარად და სახელმძღვანელოდ სამრევლო სკოლებისათვის.
საქართველოს საეკლესიო ისტორია მზადდება მეორე გამოცემად
(10—9)

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერსავე უდით (თითო) . .	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერის უდით . .	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი უდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი უდით	3—„
ჩანგი	1—„
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი უდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი უდით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	„—25
სიბრძნე-სიცრუე, მისივე .	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე . . .	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . .	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . .	1—„
იგავ-არაკნი, მისივე . . .	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . .	2—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ჯავ.-მე ჯიორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, გ. პოტოტსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა .	„—40
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—„
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . .	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ ბადრიანისა . . .	„—20
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . . .	—50
სიბრძნე ბალავარისა . . .	3—30

(100—54)

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
ღებულობს:
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.
თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое Общество **„ЯКОРЬ“**
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ. 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской площади, д. кн. Циціанова № 2.
(50—4)

Открыта подписка
на изданіе подъ названіемъ
„ИСТОРІЯ РОССІИ“,

имѣющее выйти въ 24-томахъ, изъ коихъ въ составъ первыхъ 12-ти войдетъ полностью (безъ примѣчаній) «Исторія Государства Россійскаго» Н. М. Карамзина, остальные же 12 томовъ будутъ служить этому труду продолженіемъ.

Появленіе новаго, предпринятаго нами нынѣ, изданія «Исторіи Государства Россійскаго» Карамзина не нуждается, по нашему мнѣнію, въ какомъ либо оправданіи Достоинства, которыми отличается это замѣчательное сочиненіе, говорятъ сами за себя, а громкая, вполнѣ заслуженная имъ извѣстность даетъ ему право на самое широкое распространеніе.

Другое дѣло—вторая половина нашего изданія, имѣющая цѣлью изложеніе дальнѣйшихъ событій русской исторіи почти до нашихъ дней и потому представляющая собою какъ бы продолженіе названнаго труда Карамзина. Считаемъ необходимымъ, однако, оговориться, что, разумѣется, связь между этими двумя частями нашего изданія можетъ быть только внѣшняя, такъ какъ для продолженія, въ буквальномъ смыслѣ, сочиненія знаменитаго историка надо быть вторымъ Карамзинымъ. Предлагая же публикѣ два названныхъ труда, какъ нѣчто цѣлое, мы руководились слѣдующими соображеніями. Какъ извѣстно, Карамзинъ не окончилъ, къ сожалѣнію, своей «Исторіи Государства Россійскаго»—доведенная имъ до послѣднихъ лѣтъ смутнаго времени на руси, она обрывается, такъ сказать, на полусловѣ. Такимъ образомъ, наиболѣе интересный періодъ русской исторіи, именно XVII, XVIII и XIX столѣтія, остался малоизвѣстнымъ большинству читающей публикѣ, и общаго, подобно Карамзинскому, труда, который содержалъ бы популярное изложеніе событій этихъ трехъ вѣковъ, въ русской литературѣ донынѣ не имѣется, если не считать таковыми школьные учебники и университетскіе курсы исторіи, преслѣдующіе свои спеціальныя задачи. Что касается сочиненій извѣстныхъ позднѣйшихъ историковъ (напр., Соловьева, Костомарова и друг.), въ которыхъ изложена значительная часть указанныхъ событій, то они, при всѣхъ своихъ несомнѣнныхъ достоинствахъ, представляется, однако, малодоступными читающей массѣ—одни по своему ученому изложенію, другіе по своей высокой цѣнѣ и т. п. Наконецъ, историческія монографіи, а также историческіе романы и повѣсти нельзя даже принимать во вниманіе, какъ совершенно непригодные для вышеупомянутой цѣли.

Между тѣмъ потребность въ знаніи нашего историческаго за послѣдніе вѣка развитія все болѣе и болѣе усиливается, и потому распространеніе такого знанія путемъ популярнаго изложенія этого развитія слѣдуетъ признать весьма желательнымъ

Идя на встрѣчу этой потребности, мы и намѣрены дать въ послѣднихъ 12-ти томахъ нашего изданія обстоятельный обзоръ всѣхъ событій, имѣвшихъ мѣсто въ жизни Россіи въ періодъ отъ смутнаго времени до восшествія на престолъ Императора Александра III, въ ясномъ общепонятномъ изложеніи, основанномъ на обширной цѣнной литературѣ, которою располагаетъ нынѣ русская исторіографія. При этомъ мы сдѣлали наше изданіе общедоступнымъ и по его крайне невысокой цѣнѣ. Каждый томъ будетъ заключать въ себѣ 15 печ. лист., формата in 8°, всѣ же 24 тома составятъ до 400 печ. лист. или болѣе 6,000 страницъ.

Подписная цѣна: безъ доставки **4 р. 50 к.**, съ доставкою и пересылкою **6 р.**—Допускается разсрочка: при подпискѣ—**2 р.**—по полученіи 6-го тома—**2 р.** и по полученіи 12-го тома **2 р.**—По выходѣ 8-го тома подписная цѣна будетъ повышена.

Вышли изъ печати первые 4 тома и высылаются подписчикамъ немедленно; слѣдующіе печатаются и будутъ разсылаться по мѣрѣ выхода.

Пріемъ подписки производится въ конторѣ изданія (С.-Петербургъ, Литейный проспектъ, д. 33, кв. 13) ежедневно отъ 10 до 4 час. дня.

(12—10) Издатель **В. Максимовъ**.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Февраля, 1898 г. სტამბა ქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია